

სტუდენტთა ავადობის შემსწავლელი კითხვარის ვალიდაცია

თამარ სულთანაშვილი¹, შალვა პეტრიაშვილი², მანანა არაბული³, ნატო ქლიკაძე³, იამზე თაბორიძე¹

¹საქართველოს დავით აღმაშენებლის სახ. უნივერსიტეტი, ²აღმოსავლეთ-დასავლეთის სასწავლო უნივერსიტეტი, ³თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

პასუხისმგებელი პირი: იამზე თაბორიძე, iataboridze@yahoo.com

DOI: <https://doi.org/10.48412/GTBGS.2021.09.57-62>

რეზიუმე

უნივერსიტეტის გარემოს ზოგადი გავლენა განათლებასა და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის გარკვეული. მუდმივმა დაძაბულობამ შეიძლება მიაყენოს ზიანი სტუდენტებს, ან პირიქით, გამოიწვიოს მათი სირთულეებთან გამკლავების უნარის გაზრდა. სამეცნიერო შრომების ანალიზი სტუდენტური ახალგაზრდობის პრობლემების შესახებ, მისი განმსაზღვრელი ფაქტორები ადასტურებს სტუდენტების ჯანმრთელობის მდგომარეობის სიღრმისეული შესწავლის, მისი მონიტორინგისა და პროგნოზირების აუცილებლობას. სტატიაში წარმოდგენილია ჩვენს მიერ შემუშავებული სტუდენტთა ავადობის კითხვარის ქართული ვერსიის ფსიქომეტრული მახასიათებლების კვლევა. დადგინდა, რომ კითხვარი ვალიდურია - კრომბახის ალფა=0.70.

საკვანძო სიტყვები: სტუდენტები, ავადობის კითხვარი, ვალიდაცია

უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის პერიოდში სტუდენტები განიცდიან გარემო ფაქტორების მთელი კომპლექსის გავლენას, რაც უარყოფითად მოქმედებს მათ ფიზიკურ, ფსიქიკურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე. ამ ფაქტორებს შორის არანაკლებ მნიშვნელოვან როლს თამაშობს მუდმივი ფსიქიური და ფსიქო-ემოციური სტრესი, აგრეთვე ინფორმაციული სტრესი, არასაკმარისი მატერიალური მხარდაჭერა. სწავლის სამუშაოთან შერწყმის აუცილებლობა, სამუშაო რეჟიმის ხშირი დარღვევა, დასვენებისა და კვების უკმარისობა. კულტურის ზოგადი დონის შემცირება, სანიტარული და ჰიგიენური უნარ-ჩვევების ჩათვლით, ხელს უწყობს თვითგანადგურების ქცევის გავრცელებას, როგორცაა მოწვევა, ალკოჰოლის, ნარკოტიკების და ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარება. უნივერსიტეტში სწავლის დაწყებასთან დაკავშირებული სტრესი შეიძლება გამოწვეული იყოს ცხოვრების წესის და პირობების შეცვლით [1], უნივერსიტეტის გარემოს ზოგადი გავლენა განათლებასა და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის გარკვეული [2]. მუდმივმა დაძაბულობამ შეიძლება ზიანი მიაყენოს სტუდენტებს, ან პირიქით, გამოიწვიოს მათი სირთულეებთან გამკლავების უნარის გაზრდა [3]. სამეცნიერო შრომების ანალიზი სტუდენტური ახალგაზრდობის პრობლემების შესახებ, მისი განმსაზღვრელი ფაქტორები ადასტურებს სტუდენტების ჯანმრთელობის მდგომარეობის სიღრმისეული შესწავლის, მისი მონიტორინგისა და პროგნოზირების აუცილებლობას.

ჩვენს მიერ შემუშავებულია კითხვარი, რომლის მიხედვითაც ვგეგმავთ ავადობის სტრუქტურისა და რისკის შესწავლას ქართველ სტუდენტთა პოპულაციაში. ამ კითხვარის სრულფასოვანი გამოყენებისათვის საჭიროა მისი ვალიდაცია. ვალიდაცია არის კითხვარის ფსიქომეტრიული თვისებების შემოწმება.

ნაშრომის მიზანია სტუდენტთა ავადობის კითხვარის ვალიდაცია.

მასალა და მეთოდები:

ჩვენს მიერ შედგენილი კითხვარის მიხედვით საპილოტე გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 50-მა სტუდენტმა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტიდან.

ჩართვის და გამორიცხვის კრიტერიუმები:

- ჩართვის კრიტერიუმები: საქართველოს უნივერსიტეტების სტუდენტი, საქართველოს მოქალაქე;
- გამორიცხვის კრიტერიუმები: უარი კვლევაში ჩართვაზე, ორსული ქალები.

სამიზნე ფაქტორები:

შესწავლილია ფაქტორთა შემდეგი ჯგუფები:

- ოჯახის სოციალური მდგომარეობა, ეკონომიკური სტატუსი, ავადობის სტრუქტურა ოჯახში, დამატებითი ანაზღაურებადი მუშობა, პროფესიული სპორტი, სამოყვარულო სპორტი, ჰიპოდინამია, კვების ტიპი და რეჟიმი, ძილის ჰიგიენა, ჰიგიენური უნარ ჩვევები, ექიმთან მიმართვიანობა, რეგიონი - სასწავლებელთან რამდენად შორს არის ის რეგიონი, სადაც მშობლები ცხოვრობენ.

სტატისტიკური ანალიზი:

რაოდენობრივი მაჩვენებლებისათვის განისაზღვრა საშუალო, საშუალო კვადრატული გადახრა;

ხარისხობრივი მაჩვენებლები წარმოდგენილია სისშირით და %-ით. ჩატარდა ბინომიალური ტესტი ერთი ამონარჩევისათვის.

კითხვარის ვალიდურობა დადგინდა კრომბახის ალფას გამოყენებით. კითხვარში მოცემული ფაქტორებს

შორის უნდა იყოს საკმარისი თანხმობა, თუმცა ყველა მათგანს უნდა ჰქონდეს საკუთარი წვლილი კვლევაში. კითხვებს შორის თანხმობა სარწმუნოა, როდესაც კრომბახის $\alpha > 0.70$.

თუ თანხმობის კოეფიციენტი 1-ის ტოლია - თანხმობა მაქსიმალურია, რაც ნიშნავს, რომ ფაქტორების წვლილი კვლევაში იდენტურია და ზოგიერთი მათგანი ზედმეტია. კითხვარი ვალიდურია, თუ α მიახლოებულია 0.70-თან

სტატისტიკური ანალიზი ჩატარდა SPSS 23-ის გამოყენებით.

შედეგები და განხილვა

კვლევის მონაწილეთა საშუალო ასაკი შეადგენდა 20.7+2.5 (17-33) წელს.

გამოკითხულთა საბაზისო მონაცემები მოცემულია 1 ცხრილში

გამოკითხულთა შორის არასარწმუნოდ პრევალირებს მდებარეობითი სქესი, 56% დასაქმებულია, მათი უმრავლესობა - ანაზღაურებად სამუშაოზე.

სტუდენტთა თითქმის ნახევარი ცხოვრობს ოჯახში, მშობლებთან.

რესპოდენტები, რეგიონების მიხედვით, ასე განაწილდნენ: იმ. დიაგრამა 1.

გამოკითხულთა უმრავლესობა - 48% თბილისელია, სხვა რეგიონების სიხშირე ვარიირებს 2%-დან 4%-მდე.

კითხვარი და მისი ვალიდაცია მოცემულია 2 ცხრილში. რესპოდენტებმა აღნიშნეს, რომ კითხვარში მოცემული ყველა შეკითხვა გასაგები იყო.

ჩვენმა კვლევამ აჩვენა, რომ კითხვარის მახასიათებლებს შორის არსებობს კარგი თანხმობა:

Cronbach's Alpha=0.70, სტანდარტიზებული Cronbach's Alpha=0.72.

კითხვარიდან ამოვარდა ორი ფაქტორი, რომელთა ვარიაცია ნულის ტოლი იყო და რომლებიც ეხებოდა სტუდენტთა ავადობას - ფოკალური ინფექციის კერები და C ჰეპატიტი.

ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ფაქტორების კოვარიაციის მატრიცის განმსაზღვრელი ნულოვანია და მისი ინვერსიუ-

ლი მატრიცის საფუძველზე სტატისტიკის გამოთვლა შეუძლებელია, ამიტომ ისინი აისახებიან, როგორც სისტემის დაკარგული მნიშვნელობები.

სტუდენტების ჯანმრთელობის მდგომარეობა და ავადობის დონე პირდაპირ კავშირშია მათი პროფესიული უნარების და კომპეტენციების დაუფლების ეფექტურობასთან [4].

საუდის არაბეთში ჩატარებული კვლევის მიხედვით, სამედიცინო სტუდენტების ნახევარზე მეტს - 129 (55.8%) ჰქონდა დეპრესია, 106 (45.9%) სტუდენტს ჰქონდა შფოთვა, ხოლო 87 (37.7%) სტუდენტს ჰქონდა სტრესი. აკადემიური მოსწრება იყო დეპრესიის და სტრესის ყველაზე დიდი ახსნა-განმარტებადი ფაქტორი, მაშინ როცა სხეულის გარეგნობა წარმოადგენდა შფოთვის ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს. აკადემიური და არააკადემიური სტრესორების ქულა მნიშვნელოვნად იყო დაკავშირებული დეპრესიასთან [5].

ახალგაზრდებს შორის სუბიექტური კეთილდღეობა დადებითად არის დაკავშირებული ფიზიკურ ჯანმრთელობასთან და ჯანსაღ ქცევებთან, როგორცაა გონივრული კვება და ვარჯიში და უარყოფითად არის დაკავშირებული ნარკოტიკების მოხმარებასთან, ასევე ალკოჰოლთან, მარიხუანას და თამბაქოს მოწევისასთან [6].

დღესდღეობით ახალგაზრდა თაობები ცვლიან კვების ჩვევებს ტრადიციული დიეტიდან დასავლურ დიეტაზე, სადაც დაბალია ხილისა და ბოსტნეულის მოხმარება და მაღალია ცხიმისა და შაქრის სასმელების წილი. უნივერსიტეტის სტუდენტები განსაკუთრებით მოწყვლადი მოსახლეობაა, უნივერსიტეტში შესვლისას ისინი ექვემდებარებიან ახალ გავლენებს; კერძოდ, ისინი, ვინც მშობლების სახლიდან შორს ცხოვრობენ, უფრო მეტად არიან მიდრეკილნი არაჯანსაღი კვების ჩვევებისადმი [7]. უნივერსიტეტის სტუდენტებში ჭარბი წონის გავრცელება მერყეობს 16%-დან 32%-მდე, ხოლო სიმსუქნე 4%-დან 20%-მდე [8]. ისეთი არაჯანსაღი ჩვევები, როგორცაა დაქვეითებული/ან დაბალი ფიზიკური აქტივობა, უსარგებლო საკვების მაღალი მოხმარება, საღამოს საჭმელი, აღქმული სტრესის მაღალი დონე, გაზრდილი დატვირთვა და ალკოჰოლის

ცხრილი 1. სტუდენტთა საბაზისო მონაცემები

| ფაქტორები | | კი | | არა | | P |
|-----------------------|-----------------------------------|-----|----|-----|----|--------|
| | | აბს | % | აბს | % | |
| სქესი | მდებარეობითი | 28 | 56 | 22 | 44 | 0.4799 |
| სოციალური მდგომარეობა | სოციალურად დაუცველი | 6 | 12 | 44 | 88 | 0.0000 |
| | მაღალშემოსავლიანი | 8 | 16 | 42 | 84 | 0.0000 |
| დასაქმება | დამატებითი ანაზღაურებადი მუშაობა, | 16 | 32 | 34 | 68 | 0.0153 |
| | მუშაობა ანაზღაურების გარეშე | 7 | 14 | 43 | 86 | 0.0000 |
| საცხოვრებელი ადგილი | ოჯახში მშობლებთან | 24 | 48 | 26 | 52 | 0.8877 |
| | ნათესავებთან ან მეგობრებთან ერთად | 36 | 72 | 14 | 28 | 0.0026 |
| | მარტო | 12 | 24 | 38 | 76 | 0.0003 |


მოხმარება, საუნივერსიტეტო პერიოდის განმავლობაში გავრცელებული პრაქტიკაა უნივერსიტეტის სტუდენტებს შორის [9,10,11,12].

ჯანმრთელობაზე მოქმედი სტუდენტთა ჩვევები, კვების ტიპი განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით [13,14], რაც აუცილებელს ხდის ამ მახასიათებლების შესწავლას სხვადასხვა პოპულაციაში.

ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების გავლენის შესწავლას შეუძლია მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა წარმატებული საგანმანათლებლო სტრატეგიის ფორმირების პროცესების გააზრებაში. ამასთან, ეს ამოცანა შეუძლებელია, პროცესის გავლენის ყველა ფაქტორის კომპლექსური ზემოქმედების გათვალისწინების გარეშე.

დასკვნა

ჩვენს მიერ შემუშავებული სტუდენტთა ავადობის კითხვარი ქართველი სტუდენტებისათვის მცირე შესწორებებით ვალიდურია.



დიაგრამა 1. რესპოდენტების განაწილება რეგიონების მიხედვით

ცხრილი 2. სტუდენტთა ავადობის შემსწავლელი კითხვარი

| | სკალირების საშუალო მნიშვნელობა, თუ ფაქტორს ამოვიღებთ | სკალირების ვარიაცია თუ ფაქტორს ამოვიღებთ | კორექტირებული ელემენტების კორელაცია | კრომბახის α, თუ ფაქტორს ამოვიღებთ | |
|---|--|--|-------------------------------------|-----------------------------------|-------|
| მდებრებითი სქესი | 15.48 | 37.23 | 0.12 | 0.698 | |
| სოციალურად დაუცველი | 15.92 | 38.56 | -0.11 | 0.705 | |
| მაღალშემოსავლიანი | 15.88 | 37.33 | 0.17 | 0.696 | |
| აკადემიური მოსწრება | კარგი | 15.66 | 37.49 | 0.08 | 0.700 |
| | საშუალო | 15.66 | 37.74 | 0.04 | 0.702 |
| | ცუდი | 15.98 | 37.86 | 0.11 | 0.698 |
| სპორტი | პროფესიული | 15.92 | 37.95 | 0.05 | 0.700 |
| | სამოყვარულო | 15.62 | 34.61 | 0.58 | 0.674 |
| მავნე ჩვევები | ჰიპოდინამია | 15.74 | 37.71 | 0.06 | 0.701 |
| | ალკოჰოლი | 15.88 | 37.90 | 0.04 | 0.700 |
| | თამბაქო | 15.82 | 37.58 | 0.10 | 0.699 |
| | მარიხუანა | 16.00 | 38.33 | -0.05 | 0.701 |
| | სხვა მძიმე ნარკოტიკები | 16.02 | 37.98 | 0.14 | 0.698 |
| ოჯახის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა | მშობლები უმაღლესი განათლებით | 15.38 | 36.32 | 0.29 | 0.689 |
| | განქორწინებული მშობლები | 15.96 | 38.20 | -0.01 | 0.701 |
| | არ ჰყავს მშობელი | 15.94 | 37.45 | 0.19 | 0.695 |
| | სოციალურად დაუცველი | 15.96 | 38.20 | -0.01 | 0.701 |
| | მაღალშემოსავლიანი | 16.00 | 38.16 | 0.02 | 0.700 |
| დასაქმება | დამატებითი ანაზღაურებადი | 15.72 | 36.41 | 0.28 | 0.690 |
| | ანაზღაურების გარეშე | 15.90 | 37.72 | 0.09 | 0.698 |

| | | | | | |
|------------------------|---|-------|-------|-------|-------|
| ძილის რეჟიმი | ძილიანობა | 15.74 | 37.71 | 0.06 | 0.701 |
| | უძილობა | 15.76 | 37.66 | 0.07 | 0.700 |
| | წყვეტილი ძილი | 15.70 | 38.74 | -0.12 | 0.709 |
| მეცადინეობა | დილით | 15.82 | 37.74 | 0.06 | 0.700 |
| | დღის მანილზე | 15.76 | 37.17 | 0.16 | 0.696 |
| | ღამით | 15.66 | 38.60 | -0.10 | 0.709 |
| საცხოვრებელი ადგილი | ოჯახში მშობლებთან | 15.64 | 38.28 | -0.05 | 0.706 |
| | ნათესაებთან ან მეგობრებთან ერთად | 15.96 | 37.59 | 0.17 | 0.696 |
| | მარტო | 15.80 | 37.88 | 0.03 | 0.701 |
| ექიმთან მიმართება | პროფილაქტიკური | 15.76 | 37.00 | 0.19 | 0.695 |
| | საჭიროების შემთხვევაში | 15.46 | 38.25 | -0.04 | 0.706 |
| კვების ტიპი | უპირატესად - ცხიმოვანი | 15.98 | 38.06 | 0.04 | 0.699 |
| | - ცილოვანი | 15.84 | 37.32 | 0.15 | 0.696 |
| | - ნახშირწყლოვანი | 15.92 | 38.52 | -0.10 | 0.704 |
| | სწრაფი კვება | 15.76 | 37.82 | 0.04 | 0.701 |
| | დაბალანსებული კვება | 15.70 | 37.48 | 0.09 | 0.699 |
| | ჭარბი საკვების მიღება | 16.00 | 38.20 | 0.00 | 0.700 |
| წონა | ჭარბი წონა | 15.86 | 38.41 | -0.07 | 0.705 |
| | სიგამხდრე | 15.80 | 37.02 | 0.20 | 0.694 |
| გადატანილი ოპერაციები | ჰერნიოპლასტიკა | 15.96 | 37.30 | 0.26 | 0.694 |
| | აპენდექტომია | 16.00 | 37.80 | 0.17 | 0.697 |
| | ტრამპესთან დაკავშირებული | 15.90 | 38.01 | 0.03 | 0.701 |
| | ტონზილექტომია | 15.82 | 37.33 | 0.14 | 0.697 |
| | რინოპლასტიკა | 15.88 | 37.21 | 0.20 | 0.694 |
| | სხვა | 15.94 | 36.96 | 0.32 | 0.691 |
| ტრავმები | გულმკერდის არეში | 15.98 | 38.10 | 0.03 | 0.700 |
| | მუცლის არეში | 15.98 | 37.12 | 0.36 | 0.692 |
| | ნაღრძობი | 15.88 | 37.45 | 0.14 | 0.697 |
| | მოტეხილობა | 15.82 | 38.11 | -0.01 | 0.703 |
| მხედველობის პრობლემები | მიოპია | 15.88 | 38.19 | -0.02 | 0.703 |
| | ასტიგმატიზმი | 16.02 | 38.14 | 0.05 | 0.699 |
| დაავადებები | ძვალ-სახსროვანი სისტემის თანდაყოლილი ანომალიები | 15.94 | 37.65 | 0.13 | 0.697 |
| | თიაქარი | 16.00 | 38.24 | -0.02 | 0.700 |
| | რესპირაციული დაავადებები წელიწადში 4-ზე მეტი | 15.64 | 35.42 | 0.44 | 0.682 |
| | ნერვული სისტემის დაავადებები | 16.02 | 37.82 | 0.23 | 0.696 |
| | ანემია | 15.96 | 38.53 | -0.11 | 0.704 |
| | ალერგია | 15.78 | 36.54 | 0.28 | 0.690 |
| | თირკმლის პათოლოგია | 15.92 | 37.83 | 0.08 | 0.699 |
| | კუჭ-ნაწლავის ტრაქტის პათოლოგიები | 15.88 | 37.29 | 0.18 | 0.695 |
| | ჰიპერთირეოზი | 16.00 | 38.29 | -0.03 | 0.701 |
| | ჰიპოთირეოზი | 16.02 | 37.98 | 0.14 | 0.698 |
| | დიაბეტი | 16.00 | 37.67 | 0.22 | 0.696 |
| | გულ-სისხლძარღვთა დაავადებები | 16.02 | 37.98 | 0.14 | 0.698 |

| | | | | | |
|------------------------------------|---------------------------------------|-------|-------|-------|-------|
| | პერიფერიულ სისხლძარღვთა დაავადებები | 16.02 | 38.10 | 0.07 | 0.699 |
| | ჰიპოვიტამინოზი | 16.00 | 38.20 | 0.00 | 0.700 |
| | სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები | 16.02 | 38.47 | -0.14 | 0.702 |
| | A ჰეპატიტი | 16.00 | 38.16 | 0.02 | 0.700 |
| | ფილტვის ქრონიკული დაავადება | 16.02 | 38.35 | -0.07 | 0.701 |
| ავადობის სტრუქტურა ოჯახში | გულ-სისხლძარღვთა დაავადებები | 15.76 | 37.53 | 0.09 | 0.699 |
| | თირკმლის პათოლოგია | 16.02 | 37.82 | 0.23 | 0.696 |
| | დიაბეტი | 15.78 | 37.73 | 0.06 | 0.700 |
| | ჰიპოთირეოზი | 15.98 | 37.41 | 0.27 | 0.694 |
| | ჰიპერთირეოზი | 15.98 | 38.14 | 0.01 | 0.700 |
| | ფილტვის ქრონიკული დაავადება | 15.94 | 37.36 | 0.21 | 0.695 |
| | ნერვული სისტემის დაავადებები | 15.90 | 37.72 | 0.09 | 0.698 |
| გამოცდებთან დაკავშირებული ჩივილები | ნევროლოგიური დარღვევები | 15.80 | 36.16 | 0.36 | 0.687 |
| | უძილობა | 15.88 | 36.76 | 0.30 | 0.691 |
| | უმადობა | 15.82 | 35.74 | 0.46 | 0.683 |
| | ზოგადი რეჟიმის დარღვევა | 15.64 | 35.42 | 0.44 | 0.682 |
| | დიაბეტი | 15.96 | 37.06 | 0.33 | 0.692 |
| | წონაში მკვეთრი მომატება | 15.90 | 36.58 | 0.36 | 0.689 |
| | წონაში მკვეთრი დაკლება | 15.92 | 36.52 | 0.41 | 0.688 |
| | კუჭ-ნაწლავის ტრაქტის პათოლოგიები | 15.90 | 37.52 | 0.14 | 0.697 |
| | გულ-სისხლძარღვთა დაავადებები | 15.96 | 38.61 | -0.13 | 0.704 |
| | ნერვული სისტემის დარღვევები | 15.96 | 37.67 | 0.15 | 0.697 |
| | შარდ-სასქესო სისტემის დარღვევები | 15.96 | 38.00 | 0.05 | 0.699 |
| | თმის ცვენა | 16.00 | 38.20 | 0.00 | 0.700 |
| | ჰიპოთირეოზი | 16.00 | 38.12 | 0.03 | 0.699 |
| | ჰიპერთირეოზი | 16.00 | 38.12 | 0.03 | 0.699 |
| რეგიონი | თბილისი | 15.54 | 37.11 | 0.14 | 0.697 |
| | აჭარა | 16.02 | 38.06 | 0.09 | 0.698 |
| | იმერეთი | 15.98 | 37.61 | 0.20 | 0.696 |
| | გურია | 16.02 | 38.22 | 0.00 | 0.700 |
| | სამეგრელო | 15.98 | 37.61 | 0.20 | 0.696 |
| | კახეთი | 16.00 | 37.39 | 0.34 | 0.693 |
| | სამცხე-ჯავახეთი | 15.88 | 37.21 | 0.20 | 0.694 |
| | შიდა ქართლი | 15.96 | 36.69 | 0.44 | 0.688 |
| | ქვემო ქართლი | 15.96 | 37.14 | 0.31 | 0.692 |
| | რაჭა-ლეჩხუმი/ქვემოსვანეთი | 15.94 | 37.69 | 0.12 | 0.697 |
| | მცხეთა-მთიანეთი | 15.96 | 36.77 | 0.42 | 0.689 |
| | ზემო სვანეთი | 16.00 | 37.59 | 0.25 | 0.695 |

ლიტერატურა:

References:

1. Elias, H., Ping, W. S., & Abdullah, M. C. Stress and academic achievement among undergraduate students in Universiti Putra Malaysia. *Procedia-Social and Behavioral Sciences*, 29, 646-655.
2. Posselt, J. R., & Lipson, S. K. (2016). Competition, anxiety, and depression in the college classroom: Variations by student identity and field of study. *Journal of College Student Development*, 2011; 57(8), 973-989.
3. Vu, U. T. M. The Effects of Sociocultural and Educational Supports on Resilience and Learning Outcomes Among Vietnamese Undergraduate Students (Doctoral dissertation, University of Hawaii'i at Manoa). 2020
4. Кузнецов ВВ, Кузина ИГ, Косилов КВ, Смирнов ЕА, Косилова ЕК, Байрамов РА. Сравнительный анализ самооценки и объективного состояния здоровья у студентов младших курсов медицинских и гуманитарных специальностей. *Сибирский научный медицинский журнал*. 2019;39(6).
5. Mirza AA, Baarimah H, Baig M, Mirza AA, Halawani MA, Beyari GM, AlRaddadi KS, Alreefi M. Academic and non-academic life stressors and their impact on psychological wellbeing of medical students. *AIMS Public Health*. 2021;8(4):563-80.
6. Bucker S, Nuraydin S, Simonsmeier BA, Schneider M, Luhmann M. Subjective well-being and academic achievement: A meta-analysis. *Journal of Research in Personality*. 2018 Jun 1;74:83-94.
7. Barbara R, Ferreira-Pego C. Changes in Eating Habits among Displaced and Non-Displaced University Students. *Int J Environ Res Public Health*. 2020 Jul 25;17(15):5369.
8. Huaman-Carhuas L., Bolanos-Sotomayor N. Sobrepeso, obesidad y actividad física en estudiantes de enfermería pregrado de una universidad privada. *Enferm. Nefrol*. 2020;23:184-190.
9. Suhaim N.F., Ibrahim Z., Adznam S.N.A., Noor S.M. Associations between self-esteem, skipping meal and sleep quality with overweight and obesity among university students. *Ann. Nutr. Metab*. 2019;75:135.
10. Correa-Rodriguez M., Pocovi G., Schmidt-RioValle J., Gonzalez-Jimenez E., Rueda-Medina B. Assessment of dietary intake in Spanish university students of health sciences. *Endocrinol. Diabetes Nutr*. 2018;65:265-273.
11. Hernandez-Gonzalez V., Arnau-Salvador R., Deltell C., Mayolas-Pi C., Reverter-Masia J. Physical activity, eating habits and tobacco and alcohol use in students of a Catalan university. *Rev. Fac. Med*. 2018;66:537-541.
12. Alzahrani S.H., Saeedi A.A., Baamer M.K., Shalabi A.F., Alzahrani A.M. Eating Habits Among Medical Students at King Abdulaziz University, Jeddah, Saudi Arabia. *Int. J. Gen. Med*. 2020;13:77-88.
13. El Ansari, W., Stock, C., & Mikolajczyk, R. T. Relationships between food consumption and living arrangements among university students in four European countries-a cross-sectional study. *Nutrition journal*, 2012; 11(1), 1-7.
14. Wei, C. N., Harada, K., Ueda, K., Fukumoto, K., Minamoto, K., & Ueda, A. Assessment of health-promoting lifestyle profile in Japanese university students. *Environmental health and preventive medicine*, 2012; 17(3), 222-227.

VALIDATION OF THE STUDENTS MORBIDITY STUDY QUESTIONNAIRE

Tamar Sultanishvili¹, Shalva Petriashvili², Manana Arabuli³, Nato chlikadze³, lamze Taboridze¹

¹David Aghmashenebeli University of Georgia, Georgia, ²East-West Teaching University, Georgia,

³Tbilisi State Medical University, Georgia.

Contact person: lamze Taboridze, iataboridze@yahoo.com

DOI: <https://doi.org/10.48412/GTBGS.2021.09.57-62>

Resume

The general impact of the university environment on education and mental health is not fully understood. Constant tension can harm students, or vice versa, lead to an increase in their ability to cope with their difficulties. Analysis of scientific papers on the of students problems, its determinants confirm the need for in-depth study of the state of health of students, its monitoring and forecasting.

The article presents a study of the psychometric characteristics of the Georgian version of the Student Sickness Questionnaire developed by us. It is established that the questionnaire is valid - Krombach alpha = 0.70.

Key words: Students, Sickness Questionnaire, validation